საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაჩაბელი მარიამ (მაკა) ელიზბარის ასული

მ. ე. მაჩაბელი

მაჩაბელი მარიამ (მაკა) ელიზბარის ასული (23. IX. 1892, სოფ. ქვემო ხვითი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 23. IX. 1967, თბილისი), თერაპევტი. მედ. მეცნ. კანდიდატი (1937), საქართვ. დამს. ექიმი (1960), ერთ-ერთი პირველი ქართველ ქალთა შორის, რ-მაც უმაღლესი სამედ. განათლება რუსეთში მიიღო. 1912–17 სწავლობდა ხარკოვის სამედ. ინ-ტში. მისი დამთავრების შემდეგ დაინიშნა ჰოსპიტალური თერაპიის კლინიკის ორდინატორად. 1918 დაბრუნდა სამშობლოში. მუშაობა დაიწყო მშობლიურ სოფელში, სადაც იბრძოდა „ისპანკით“ და პარტახტიანი ტიფით დაავადებულთა გადასარჩენად. 1919–26 იყო თბილ. სახელმწ. უნ-ტის სამედ. ფაკ-ტის თერაპიული კლინიკის ორდინატორი. 1926 პროფ. ნ. მახვილაძესთან ერთად ჩამოაყალიბა საქართვ. პროფპათოლოგიური სამსახური. მათი ინიციატივით შეიქმნა ნ. მახვილაძის სახ. შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი (2000-იდან – ნ. მახვილაძის სახ. შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი), სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. პარალელურად ექიმთა დახელოვნების ინ-ტში კითხულობდა ლექციებს პროფპათოლოგიის დარგში (1938– 48).

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც ეხება პროფდაავადებების პრობლემებს. მისი უმთავრესი სამეცნ. აღმოჩენა იყო (1951) ექსპერიმენტსა და პრაქტიკაში დადგენილი და აღწერილი მანგანუმისმიერი პნევმოკონიოზი (მანგანოკონიოზი).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი (1954).